

# ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებით განპირობებული საგადასახადო ცვლილებები და მასთან დაკავშირებული გამოწვევები

2020 წლის 24 აპრილი



ახალი კორონავირუსის პანდემია მსოფლიო ჯანდაცვის სისტემის კრიზისთან ერთად მნიშვნელოვან ეკონომიკურ ვარდნას განაპირობებს, რომლის მასშტაბის შეფასება ამ ეტაპზე, სამწუხაროდ, შეუძლებელია. ქვეყნებს უწევთ უპრეცედენტო ზომების მიღება რათა მოერგონ ახალ რეალობას, სახეცვლილია საზოგადოებრივი წესრიგი, პრაქტიკულად პარალიზებულია ბიზნეს სექტორი, რასაც თან ერთვის უკიდურესად დამძიმებული სოციალური ფონი. ბუნებრივია, გადაწყვეტი როლი სახელმწიფო სტრუქტურებს ენიჭებათ, ვინაიდან სწორედ ისინი განსაზღვრავენ ახალ ჩარჩო პირობებს, რომელთა ფარგლებში ფუნქციონირება უწევს საზოგადოებასა თუ ბიზნეს სექტორს.

საქართველოს ხელისუფლების, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნების ლიდერების, მიზანი მინიმალური ადამიანური და მატერიალური დანაკარგის უზრუნველყოფაა. ამასთან, უმნიშვნელოვანესია მიმდინარე გადაწყვეტილებებით მომავლის სტაბილურობას ჩაეყაროს საფუძველი. ვითარების სწრაფი ცვალებადობა და მოვლენების განვითარების განჭვრეტის სირთულე კიდევ უფრო ამძიმებს გადაწყვეტილებების მიღების პროცესს. ვინაიდან საგადასახადო პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკაზე ზემოქმედების

ერთ-ერთი საკვანძო სახელმწიფო ბერკეტი და ამასთან მასში განხორციელებული ცვლილებები შესაძლოა მცისიერად/პირდაპირ აისახოს მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე, ის კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ამგვარ კრიზისულ ვითარებაში.

საზოგადოების ნაწილი გამოსავალს გადასახადებზე განაკვეთების შემცირებასა და დამატებითი საგადასახადო შეღავათების დაწესებაში ხედავს, თუმცა ამგვარი ფუნდამენტური გადაწყვეტილების მისაღებად მრავალი ფაქტორის გათვალისწინებაა აუცილებელი, მათ შორის ახალი კორონავირუსისგან მიყენებული ზიანისა და სახელმწიფოს გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელი რესურსის ოდენობის შეფასება.

*მოცემული სტატიის საგანი არ გახლავთ საგადასახადო პოლიტიკის შესაძლო ფუნდამენტური ცვლილებების ანალიზი, არამედ ჩვენი მიზანია თავი მოვუყაროთ სახელმწიფოს მიერ საგადასახადო კანონმდებლობის/ადმინისტრირების ცვლილებების მიმართულებით ამ ეტაპისთვის გადადგმულ ნაბიჯებს და ამასთან გამოვკვეთოთ ის საკითხები, რომლებიც როგორც ჩანს დამატებით მუშაობას/ცვლილებებს საჭიროებენ.*

## საგადასახადო მიმართულებით განხორციელებული აქტივობები

სტატის გამოქვეყნების მომენტისთვის საგადასახადო მიმართულებით განხორციელებულია შემდეგი აქტივობები:



ახალ დღის წესრიგში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამედიცინო პერსონალის უწყვეტ მომარაგებას შესაბამისი სამედიცინო აღჭურვილობით. აღნიშნულ მიზანს ემსახურება იმ სამკურნალო/სამედიცინო მიზნებისათვის განკუთვნილი საქონლის ნუსხის გაფართოებაც, რომლის მიწოდება/იმპორტი გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისგან ჩათვლის უფლების გარეშე. აქვე დავძენთ, რომ განახლებული ნუსხის მიმართ ზემოაღნიშნული ნორმის მოქმედება ვრცელდება დროებით, 2020 წლის 1 ოქტომბრამდე.



ახალი გამოწვევების საპასუხოდ საგადასახადო ორგანო გამოეხმაურა პანდემიის შედეგად მნიშვნელოვნად დაზარალებული ტურიზმის სფეროს პრობლემებს და 2020 წლის პირველ ნოემბრამდე გადაავადა თებერვლის, მარტის, აპრილისა და მაისის საანგარიშო პერიოდების გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის საფუძველზე და 2019 წლის საშემოსავლო/ქონების გადასახადის წლიური დეკლარაციების საფუძველზე დარიცხული საგადასახადო ვალდებულებები (მათ შორის მიმდინარე გადასახდელები). გადავადებით სარგებლობის უფლება მიენიჭათ სხვადასხვა ტიპის საქმიანობის (მათ შორის - განთავსების, კვების, ტრანსპორტირების, საექსკურსიო, საკონფერენციო მომსახურება და სხვა) განმხორციელებელ პირებს, რომლებიც ორგანიზებული სახით უწევენ მომსახურებას ტურისტებს.

უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახადო ორგანოს ზემოაღნიშნული ინიციატივის კომუნიკაცია მოხდა შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით თუმცა ამ დრომდე არ მომხდარა შესაბამის კანონმდებლობაში სიახლის ასახვა

ბუნებრივია, აღნიშნული გადავადება გავლენას ახდენს ტურიზმის სფეროში მოღვაწე საწარმოების თავისუფალ ფულად ნაკადებზე, რაც თავის მხრივ, გარკვეულწილად, ხელს უწყობს ამ სფეროში დასაქმებული ფიზიკური პირების სახელფასო შემოსავლის სტაბილურობას.



უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ სექტორის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა სიტუაციის სტაბილიზაციის შემდეგაც, საკმაოდ გახანგრძლივდეს კრიზისული პერიოდი როგორც ამ, ასევე მომიჯნავე სფეროში მოღვაწე პირებისთვის (შემცირებული ტურისტული ნაკადები უცხოეთიდან, ადგილობრივი მოხმარების მკვეთრი შემცირება პოსტ-კრიზისულ პერიოდში), ამიტომ რეალურია დღის წესრიგში დადგეს უფრო ფართომასშტაბიანი შეღავათების, მათ შორის საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურის ან/და ჩამოწერის, აუცილებლობა.



სოციალური დისტანცირების რეკომენდაციის გათვალისწინებით დავის განმხილველ ორგანოებს უფლება მიეცათ გადასახადის გადამხდელის საჩივარი განიხილონ დისტანციურად, ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით, ასევე საჩივარი განიხილონ მომჩივანის დაუსწრებლად, თუ საქმეში არსებული მასალებიდან სრულად დგინდება დავის საგანთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამ ეტაპზე საგადასახადო ორგანო თავს იკავებს მნიშვნელოვანი საგადასახადო საჩივრების განხილვისგან.

2020 წლის 23 მარტის მდგომარეობით და მას შემდეგ საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში, გადასახადის გადამხდელის დროებითი აღრიცხვის ბარათზე აღრიცხული საგადასახადო ვალდებულებები/სანქციები პირადი აღრიცხვის ძირითად ბარათზე გადატანილ იქნება:



- საგანგებო მდგომარეობის გაუქმებიდან 31-ე დღეს, თუ პირს აღნიშნულ ვადამდე არ გაუსაჩივრებია საგადასახადო/საბაჟო ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილება;
- საგანგებო მდგომარეობის გაუქმებიდან 21-ე დღეს, თუ პირს აღნიშნულ ვადამდე არ გაუსაჩივრებია დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება.

როგორც ჩანს, აღნიშნული ცვლილება გარკვეულწილად გაპირობებულია საქართველოს მთავრობის N 181 დადგენილებით განსაზღვრული ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებით, კერძოდ, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისა და განხილვის კანონმდებლობით დადგენილი ვადების შეჩერებით.



შეღვათები შეეხოთ ავტო იმპორტიორებსაც, კერძოდ, 2020 წლის 1 აპრილამდე საქართველოს ტერიტორიაზე შემოყვანილი ავტომობილების მფლობელები არ დაჯარიმდებიან სატრანსპორტო საშუალების წარდგენის, ზოგადი დეკლარირების, დეკლარირების/გამოცხადების ვადის ან საბაჟო პროცედურების დარღვევის გამო, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ავტომობილის განბაჟების ვადა შესაძლოა გახანგრძლივებულად ჩაითვალოს. ამასთანავე, თუ აღნიშნული პირები 2020 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყოფენ ავტომობილის რეექსპორტს ან მის საბაჟო პროცედურაში მოქცევას, არ მოუწევთ გადასახადის თანხის გადაუხდელობის გამო დარიცხული საურავების გადახდა.



საგადასახადო ორგანო სიტუაციური სახელმძღვანელოების ფორმით გამოეხმაურა საგანგებო სიტუაციის პირობებში შექმნილი ცალკეული შემთხვევების საგადასახადო ასპექტებს, კერძოდ:

- სამეწარმეო საქმიანობის შეჩერების პირობებში, როდესაც არ უქმდება საიჯარო ხელშეკრულება ბაზრობის ტერიტორიაზე, სავაჭრო ცენტრებსა და სხვა ობიექტებზე იჯარით გაცემულ კომერციულ ფართობთან მიმართებით და ამავე დროს მოიჯარის მიერ არ ხდება იჯარის თანხის გადახდა, არ ჩაითვლება რომ მეიჯარის მხრიდან ადგილი აქვს მომსახურების უსასყიდლოდ გაწევას ან/და მოიჯარემ მიიღო შესაბამისი სარგებელი.



- ფიქსირებული გადასახადის გადამხდელებს, რომელთაც საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პირობებში აკრძალათ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება (მაგ. სილამაზის სალონში), საგადასახადო ორგანო უფლებამოსილებას ანიჭებს არ განახორციელონ საგადასახადო ანგარიშგება საქმიანობის შეჩერების შესახებ შესაბამისი განაცხადის წარდგენის გარეშე.



- საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პირობებში, საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების შეზღუდვის გათვალისწინებით, დაქირავებულთა ორგანიზებული გადაყვანა არ განიხილება დამსაქმებლის მიერ მომსახურების გაწევად ან/და დაქირავებული პირის მიერ მიღებულ ხელფასად. მოცემული შეღვათი მათ შორის ვრცელდება დაქირავებულებისთვის მგზავრობისათვის საჭირო მიზნობრივი თანხის გაცემაზე.

## ახალი კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებული გამონაკვეთები

ზემოაღნიშნულ ღონისძიებებთან ერთად, საგადასახადო ორგანო ოფიციალური კომუნიკაციის გზით აწვდის დამატებით რეკომენდაციებს/განმარტებებს ცალკეულ გადასახადის გადამხდელებსა თუ ბიზნეს ასოციაციებს, რაც წარმოადგენს მხოლოდ ოპერატიულ რეაგირებას ამ უკანასკნელთა მოთხოვნაზე. იმის გათვალისწინებით, რომ საგადასახადო ორგანოს უწევს მოვლენებზე სწრაფი რეაგირება და გადაწყვეტილების მიღება ეტაპობრივად წამოჭრილ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით, აღნიშნული საგადასახადო ინიციატივების მიუხედავად (რომლებიც ცალკეულ შემთხვევებში სრულად არ არის გამყარებული შესაბამისი საკანონმდებლო ნორმებით), ბუნებრივია, რჩება ღია საკითხები, რომლებიც საგადასახადო/საკანონმდებლო ორგანოების მხრიდან მოითხოვს დამატებითი ნაბიჯების გადადგმას. შესაბამისად, ამ თემებთან დაკავშირებით დღის წესრიგში რჩება პრობლემური საკითხებისადმი განზოგადებული/კომპლექსური მიდგომის შემუშავება და შესაბამის საკანონმდებლო ნორმებში ფუნდამენტალური ხასიათის ცვლილებების შეტანის აუცილებლობა.

დღესდღეობით მრავლად ვხვდებით ბიზნეს სექტორის მხრიდან ახალ კორონავირუსთან ბრძოლის პირობებში სოციალური პასუხისმგებლობის გამოვლენის მაგალითებს, როგორებიცაა: სოციალურად დაუცველი თუ სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების ფინანსური/მატერიალური მხარდაჭერა პირდაპირ ან/და სხვადასხვა აქციების ფარგლებში; სამედიცინო სექტორის გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობა, მათ შორის ტრანსპორტირების მომსახურების უსასყიდლო შეთავაზებით;

სხვადასხვა მომსახურების, მათ შორის სემინარების, კონსულტაციების, ტრენინგების, უსასყიდლო დისტანციური შეთავაზება. საგადასახადო კოდექსის არსებული რედაქციით, მსგავსი აქტივობების უმეტესობა დამატებით საგადასახადო ტვირთს წარმოშობს დღგ-ისა თუ მოგების/საშემოსავლო გადასახადის ნაწილში, შესაბამისად სასურველია თუ კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში ბიზნეს სექტორის მიერ განხორციელებულ სოციალურ პროექტებზე, რომლებიც თავის მხრივ სახელმწიფო ინტერესებშიც შედის, გავრცელდება დამატებითი შეღავათები.

ბუნებრივია, სწრაფად ცვლად მოვლენებზე სწორი და დროული რეაგირება კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს საგადასახადო ორგანოს მხრიდან და ამ პროცესში, როგორც აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანია თავად ბიზნეს სექტორის როლიც, რათა მათ დროულად მოახდინონ შეზღუდულ/სახეცვლილ ოპერაციებთან დაკავშირებული საგადასახადო რისკების იდენტიფიკაცია და შესაბამისი კომუნიკაცია.

აქვე აღვნიშნავთ, რომ უახლოეს დღეებში მოსალოდნელია მთავრობის მიერ შემუშავებული ანტიკრიზისული გეგმის გამოქვეყნება, რომელიც მაღალი ალბათობით მოიაზრებს საგადასახადო მიმართულებით განსახორციელებელ მნიშვნელოვან ცვლილებებს. ანტიკრიზისული დოკუმენტის ფარგლებში გაცხადებულ აქტივობებს ჩვენს შემდეგ გამოცემებში გაგაცნობთ.

# კონტაქტი

## გვანცა დგებუაძე

უფროსი საგადასახადო კონსულტანტი

+995 322 935695  
[gdgebuadze@kpmg.com](mailto:gdgebuadze@kpmg.com)  
[www.kpmg.ge](http://www.kpmg.ge)

## ანა მარდალიიშვილი

უფროსი საგადასახადო კონსულტანტი

+995 322 935695  
[amardaleishvili@kpmg.com](mailto:amardaleishvili@kpmg.com)  
[www.kpmg.ge](http://www.kpmg.ge)

**kpmg.ge**



წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია არის ზოგადი ხასიათის და არ არის განკუთვნილი კონკრეტული ინდივიდის ან ორგანიზაციის საჭიროებებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვცდილობთ მოაწოდოთ ზუსტი და დროული ინფორმაცია, წინამდებარე დოკუმენტი არ შეიძლება იქნას გაგებული, როგორც გარანტია, რომ ინფორმაცია ზუსტია დოკუმენტის თქვენ მიერ მიღების თარიღზე ან იქნება ზუსტი მომავალში. არავინ არ უნდა დაეყრდნოს აქ მოცემულ ინფორმაციას კონკრეტული შემთხვევის სათანადო ანალიზის შედეგად მიღებული პროფესიული რჩევის გარეშე.

© 2020 შპს KPMG Georgia, რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არის „KPMG“-ს ქსელის დამოუკიდებელი ფორმების წევრი, რომელიც ერთიანდება შვეიცარულ ორგანიზაციაში „KPMG International Cooperative“ („KPMG International“). ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია საქართველოში